„მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში“

მონიტორინგის შედეგები

კვლევა მომზადდა „ახალგაზრდა ადვოკატების“ პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
ნოემბერი, 2013 წ.
ქ. თბილისი

შინაარსი[1]

შესავალი
მონიტორინგის პროცესი
მონიტორინგის შედეგები
დასკვნა

[1] მონიტორინგის შედეგების ელექტრონული ვერსია განთავსებულია ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ გვერდზე: www.barristers.ge

შესავალი

აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობისა და ღიაობის ერთ–ერთი უნივერსალური პრინციპი მათი საჯაროობა. დემოკრატიული სახელმწიფოები „კარგი მმართველობის“ განხორციელების პროცესში, განსაკუთრებულ ყურადღებას საზოგადოების თანამონაწილოებასა და ჩართულობას უთმობენ. საქართველოს კონსტიტუციით ცალსახად იქნა აღიარებული ხალხის თანამონაწილეობა საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში. კონსტიტუციამ ხელისუფლების მთავარ წყაროდ გამოაცხადა ხალხი, რითაც ქვეყანამ დემოკრატიული მმართველობის მოდელით, საპასუხისმგებლო ახალი ცხოვრება დაიწყო. საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ხელისუფლების ურთიერთობა ხალხთან და პირიქით. ქვეყანაში საზოგადოებასა და ხელისუფალს შორის ინსტიტუციური დიალოგის სიმწირემ, მეორე მხრივ კი სამოქალაქო ინიციატივების მიმართ გამოჩენილმა გულგრილობამ, ხელისუფლების ღია მმართველობის შესაძლებლობებს სერიოზული დარტყმა მიაყენა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციისა“ და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების, ამ ორი ისტორიული თარიღის აღნიშვნა თვალსაჩინოდ უნდა მიუთითებდეს საზოგადოების რამდენიმე განწყობაზე. მოქალაქეებმა, ორივე შემთხვევაში, უნდობლობა გამოხატეს შემოთავაზებული მმართველობის ისეთი ფორმის მიმართ, სადაც შეზღუდული აღმოჩნდა საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილება, ადგილი დაიმკვიდრა ინსტიტუციურმა უპასუხისმგებლობამ და ხალხი საჯარო პოლიტიკის მიღმა აღმოჩნდა.

1999 წლის 25 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, რომელმაც შესაძლებელი გახადა, საჯარო პოლიტიკის განხორციელების დროს, მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფა საჯარო უწყებების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. საქართველოს კანონმდებლობით, შესაძლებელი გახდა სამოქალაქო ინიციატივებისა და წინადადებების გაცნობა საჯარო უწყებების მიმართ, ხოლო მეორე მხრივ, საჯარო უწყებებმა აიღეს ვალდებულება დაეკმაყოფილებინათ მოქალაქეების ინტერესები და გაეცათ საჯარო ინფორმაციად აღიარებული და მითითებული ცნობები. კოდექსმა მოქალაქე დაინტერესებულ მხარედ შემოიყვანა და მიანიჭა უფლება ანგარიშვალდებული გაეხადა საჯარო დაწესებულება. მეტიც, კოდექსის 42–ე მუხლის მიხედვით, განისაზღვრა ის ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოებაც სახელმწიფომ დაუშვებლად მიიჩნია. ყველას აქვს უფლება იცოდეს:

- ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
- საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოხელეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
- საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოხელეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ პასუხისმგებელი თანამდებობა ან ევალებათ საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
- კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
- არჩევით თანამდეობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
- საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
- საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

- **საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;**
- **იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;**
- **საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში, ხოლო თუკი არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა. კანონით განისაზღვრა, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს: ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას; ბ) მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას; გ) მოთხოვნის თაობაზე დადებითი ან უარყოფითი გადაწყვეტილების მიღებით დაინტერესებულ, სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. ასეთი გარემოებების დროს, საჯარო დაწესებულება ვალდებულია განმცხადებელს აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების, მისი საფუძვლის და შესაბამისი ნორმატიული აქტის შესახებ.

2010 წლის ბოლოს, ბრიტანული ჟურნალის The Economist -ის ანალიტიკურმა კვლევითმა კომპანიამ „The Economist Intelligence Unit“ მსოფლიოს ქვეყნების წლის დემოკრატიის ინდექსი გამოაქვეყნა.[2] როგორც წესი, ასეთი ინდექსი მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ შეფასდეს სახელმწიფო პოლიტიკის ტენდენციები და მიმართულებები. აღნიშნული კვლევის მიხედვით, მსოფლიოს 167 ქვეყანას შორის, საქართველო, დემოკრატიის ინდექსით, 103-ე ადგილზე აღმოჩნდა. დემოკრატის ინდექსი შემდეგ ხუთ მაჩვენებელს ეფუძნებოდა: სამოქალაქო თავისუფლება, პოლიტიკური კულტურა, საარჩევნო კოდექსი და პლურალიზმი, მთავრობის საქმიანობა და პოლიტიკური მონაწილეობა. კომპანიამ სახელმწიფოები დაჰყო სახელისუფლო რეჟიმების ოთხ ტიპად. **პირველი** – სრული დემოკრატია, **მეორე** – არასაკმარისი დემოკრატია, **მესამე** – ჰიბრიდული რეჟიმი, **მეოთხე** – ავტორიტარული რეჟიმი. მაშინ საქართველო ჰიბრიდული რეჟიმის ქვეყნებში მოხვდა და ამ მაჩვენებლით, ქვეყანას უსწრებდა ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა ვენესუელა, უგანდა, მოზამბიკი, ლიბერია, კენია და კამბოჯა.[3] 2013 წლის სექტემბერში, უკვე NDI მიერ გამოქვეყნებულ სოციოლოგიურ კვლევაში ჩანს, რომ მოქალაქეების 36% ფიქრობს, რომ „საქართველო უკვე დემოკრატიულია, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროებს გაუმჯობესებას“, 28% ფიქრობს, რომ „საქართველო ჯერ არ არის დემოკრატიული, მაგრამ ქვეყანა ამ მიმართულებით ვითარდება“, 15% ფიქრობს, რომ „საქართველო მხოლოდ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის არის დემოკრატიული“, 13% მიიჩნევს, რომ „საქართველო, შეიძლება მომავალში გახდეს დემოკრატიული, მაგრამ ამჟამად ამ მიმართულებით არ ვითარდება“, 2% თვლის, რომ „საქართველო არ არის და არც არასდროს იქნება დემოკრატიული“, 1% ფიქრობს, რომ „საქართველო უკვე დემოკრატიულია და გაუმჯობესებას აღარ საჭიროებს“, ხოლო 5% ამბობს, რომ „არ იცის“.[4]

---

[2] http://www.economist.com/topics/economist-intelligence-unit
[3] http://www.newsline.ge/?p=6435
[4] http://www.ndi.org/files/NDI-Georgia-September-2013-survey-Issues_Geo_vf.pdf

საზოგადოების მისწრაფებაა ცხოვრობდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში და ჰყავდეს ანგარიშვალდებული მთავრობა. ამიტომაც მნიშვნელოვანია წარმოჩნდეს მოქალაქის სახელმწიფოსთან, მის საჯარო უწყებებთან ურთიერთკავშირი და შეფასდეს მოქალაქეების მთავრობის საჯარო პოლიტიკის შექმნაში აქტიურობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხი. ამ თვალსაზრისით, აქტუალობას არ ჰკარგავს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლების რეალიზება – ითხოვდნენ, იღებდნენ, ეცნობოდნენ ან/და ასაჩივრებდნენ საჯარო უწყებებიდან გაცემულ ინფორმაციას. საქართველოში, უკანასკნელი წლების პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემა მთავრობის პრიორიტეტს ნაკლებად წარმოადგენდა, რადგანაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ გაჩნდა „გრიფით საიდუმლო“ და საჯარო უწყებებიდან ინფორმაციის გაუმჭვირვალობის დავებმა გადაინაცვლეს სასამართლოებში. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, ხელისუფლება საგანგებოდ ასაიდუმლოებდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად, „ენგურჰესის" გასხვისებასთან დაკავშირებით "ინტერრაოსა" და ენრეგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებულ მემორანდუმს და თურქეთის რესპუბლიკასთან „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტიაციის თაობაზე“ ხელშეკრულებას. აღნიშნული საკთხები დღემდე უცნობია საზოგადოებისთვის და ყოფილი პრემიერ–მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ „გრიფით საიდუმლოდ“ მიჩნეულ საქმეებზე „გრიფის“ მოხსნის ინიციატივა, ტოვებს შესაძლებლობას, საქართველოს მთავრობამ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე პოლიტიკის საჯაროობა გაზარდოს.

მონიტორინგის პროცესი

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს #219 დადგენილებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“. დადგენილების თანახმად, საქართველოს სამინისტროებს, მთავრობის კანცელარიას, სახელმწიფო მინისტრის აპარატსა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს, საკუთარ ოფიციალურ ელექტრონულ გვერდებზე, დაევალათ საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში, საზოგადოებრივი ინტერესის შემცვლელი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორამციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა მრავალფეროვანია და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობიდან დაწყებული, მოიცავს ისეთი სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, როგოროიცაა სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ, რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები, ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობის შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად), ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის გრანტის მიმღები მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული მოცულობა და სხვა. აღსანიშნავია, რომ დადგენილების ამოქმედებისთანავე, ადმინისტრაციული ორგანოები ინფორმაციის გასაჯაროების პროცესს შეუდგნენ და მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს პროცესი, დადგენილებით განსაზღვრულმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა 2013 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დაასრულონ.

ორგანიზაცია, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების პარალელურად, დაინტერესდა საქართველოს მოქალაქეების საჯარო უწყებებისადმი მიმართვიანობის სტატისტიკის გამოკვევით და 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების ცვლილებების პროცესში, მონიტორინგის მიზნად დაისახა:

1. **ყოფილი და მოქმედი მთავრობების საჯაროობის შემოწმება;**
2. **მოქალაქეების საჯარო უწყებებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებლის დადგენა**
3. **საჯარო უწყებების მხრიდან მოქალაქეების მიმართ ჯეროვანი კომუნიკაციის დადგენა**
4. **ადმინისტრაციული საჩივრების მომზადებისა და განხილვის სტატისტიკა**
5. **საჯარო უწყებების გამოვლენა, მოქალაქეებთან მათი ანგარიშვალდებულების მიხედვით**

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის 27 სექტემბერს განცხადებით მიმართეს საქართველოს ცხრამეტივე სამინისტროს და თითოეული სამინისტროსგან მოითხოვეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. **2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქის განცხადება დარეგისტრირდა?**
2. **2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი რეგისტრირებულ განცხადებას უპასუხა საჯარო ადმინისტრაციულმა ორგანომ?**
3. **2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრირებული რამდენი განცხადებაა ამჟამად განხილვის პროცესში?**
4. **2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი შემოვიდა? რა სტატისტიკა არსებობს მათი განხილვის დროს?**
5. **2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, რამდენი მოქალაქის განცხადება იყო რეგისტრირებული?**
6. **2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, თქვენმა უწყებამ რამდენი ადმინისტრაციული საჩივარი განიხილა?**

მონიტორინგის შედეგები

ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მონიტორინგის ფარგლებში, რომელიც 2 თვის განმავლობაში (ოქტომბერი–ნოემბერი) მიმდინარეობდა, საქართველოს მთავრობის 19 სამინისტროდან თანამშრომლობის სურვილი 18 სამინისტროს უფლებამოსილმა პირმა გამოთქვა. დაუზუსტებელი გარემოებით, ორგანიზაციის მიმართვა გამოხმაურების გარეშე დატოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ. მომზადებულმა კვლევამ აჩვენა:

2011–2012 წლების მაჩვენებელი

- საქართველოს სამინისტროებში, 2011-2012 წლებში, რეგისტრირდა 159 009 საქართველოს მოქალაქის განცხადება/წერილი

- საქართველოს სამინისტროებმა, 2011–2012 წლებში, დარეგისტრირებული 159 009 საქართველოს მოქალაქის განცხადება/წერილზე მოამზადეს 15 424 პასუხი. აღნიშნული მონაცემი ეკუთვნის მხოლოდ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს. ორგანიზაციას, დანარჩენი 18 სამინისტროდან, 2011–2012 წლებში კორესპონდენციაზე გამოხმაურების სტატისტიკა არ მიწოდებია, სავარაუდოდ, მონაცემთა არასებობის გამო ან/და გამოვლინდა თანამშრომლობის ნაკლები სურვილი.

- საქართველოს სამინისტროებში, 2011-2012 წლებში, რეგისტრირებულმა ადმინისტრაციული საჩივრების საერთო რაოდენობამ შეადგინა 402

2012–2013 წლების მაჩვენებელი

- საქართველოს სამინისტროებში, 2012-2013 წლებში, რეგისტრირდა 295 033 საქართველოს მოქალაქის განცხადება/წერილი

- საქართველოს სამინისტროებმა, 2012-2013 წლებში დარეგისტრირებული 295 033 საქართველოს მოქალაქის განცხადება/წერილზე მოამზადეს 176 718 პასუხი. აღნიშნული მონაცემი ეკუთვნის საქართველოს სამინისტროების უმრავლეოსბას, თუმცა ორგანიზაციას რამდენიმე სამინისტრომ 2012–2013 წლებში კორესპონდენციაზე გამოხმაურების სტატისტიკა არ მიაწოდა, სავარაუდოდ, მონაცემთა არასებობის გამო ან/და გამოვლინდა თანამშრომლობის ნაკლები სურვილი.

- საქართველოს სამინისტროებში, 2012-2013 წლებში, რეგისტრირებულმა ადმინისტრაციული საჩივრების საერთო რაოდენობამ შეადგინა 885

მონიტორინგის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა ის სამინისტროები, რომლებიც დაწინაურდნენ საჯარო ინფორმაციის გაცემისა და მიმართვიანობის თვალსაზრისით.

2011–2012 წლების მიმართვიანობის მაჩვენებელი (სამინისტროების ხუთეული)

1. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 30 933
2. იუსტიციის სამინისტრო – 30 603
3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 30 437
4. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო – 24 224

5. განათლებისა და მეცნიერების სამაინისტრო – 9097

2012–2013 წლების მიმართვიანობის მაჩვენებელი (სამინისტროების ხუთეული)

1. იუსტიციის სამინისტრო – 68 311
2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 48 126
3. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 45 262
4. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო – 41 948
5. განათლებისა და მეცნიერების სამაინისტრო – 30 715

2011–2012 წლების გამოხმაურების მაჩვენებელი (სამინისტროების ხუთეული)

1. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო – 15 424
2. სხვა სამინისტროების მონაცემები ორგანიზაციას არ მიეწოდა

2012–2013 წლების გამოხმაურების მაჩვენებელი (სამინისტროების ხუთეული)

6. იუსტიციის სამინისტრო – 59 321
7. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 46 293
8. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 42 576
9. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო – 22 485
10. განათლებისა და მეცნიერების სამაინისტრო – 20 661

2011–2012 წლების ადმინისტრაციული საჩივრით მიმართვიანობის მაჩვენებელი (სამინისტროების ხუთეული)

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო – 322
2. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 45
3. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 9
4. თავდაცვის სამინისტრო – 9
5. სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 4

2012–2013 წლების ადმინისტრაციული საჩივრით მიმართვიანობის მაჩვენებელი (სამინისტროების ხუთეული)

1. შინაგან საქმეთა სამინისტრო – 723
2. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო – 52
3. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 49
4. იუსტიციის სამინისტრო – 23
5. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო – 13

დასკვნა

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მონიტორინგმა ცხადყო, რომ მოქალაქეთა მიმართვიანობა საქართველოს სამინისტროებისადმი 2012 წლის 1 ოქტომბრიდან - 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, შედარებით 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, გაორმაგებულია.

2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ცხრამეტივე სამინისტროს, ერთად, მოქალაქეებმა 159 009 განცხადებით/წერილით მიმართეს, ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, სამინისტროებში 295 033 განცხადება/წერილია რეგისტრირებული. მოქალაქეთა აქტიურობა ორჯერ უფრო მეტია ადმინისტრაციული საჩივრების მიხედვითაც. 2011 წლის 1 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, სამინისტროებმა დაარეგისტრირეს 402 ადმინისტრაციული საჩივარი, ხოლო 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2013 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით - 885.

ორგანიზაციის მონიტორინგით, რეალობა ცხადყოფს, რომ გამოკვლეულ წლებში შეცვლილია მოსახლეობის დამოკიდებულება სამინისტროებისადმი, რაც გამოიხატება გაორმაგებული მიმართვიანობით. მოქალაქეების ასეთი აქტიურობა გამოწვეული უნდა იყოს იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებებით, რომელიც ქვეყანამ 2011–2013 წლებში განიცადა. ყოფილი და მოქმედი მთავრობების საჯაროობის შემოწმებამ გამოკვეთა ის ტენდენცია, რომ თუკი მოქალაქეები 2012–2013 წლებში უფრო მეტად მიმართავდნენ საჯარო უწყებებს, ვიდრე 2011–2012 წლებში, მიუთითებს ინტერესების დაკმაყოფილების მოლოდინებზე ახალი ხელისუფლების პირობებში და ნდობის გაზრდას სახელმწიფო ინსტიტუციებთან ურთიერთობის დროს, რაც წარსულში, მართალია, არსებობდა, თუმცა აკლდა სიმტკიცე და მთავრობის ანგარიშვალდებულება. ამასთან, მონიტორინგმა ცხადყო, რომ სხვადასხვა პერიოდში ხუთეულში დაწინაურებული საჯარო უწყებების მიმართ მოქალაქეების მიმართვიანობა პირდაპირ გამოკვეთს საზოგადოებაში აქტუალური სფეროების არსებობას, 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების განხორციელების შემდეგ კი, სამართლიანობის აღდგენის სურვილს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ამ პროცესში, მოქალაქისა და საჯარო დაწესებულების კომუნიკაცია არ დარჩეს ცამხრივი და კანონმდებლობის დაცვით მოხდეს ყველა საჯარო ინტერესზე დროული რეაგირება.

მნიშვნელოვანია, საზოგადოება სამომავლოდაც აქტიური გახდეს საჯარო უწყებებთან კომუნიკაციის დროს, რაც ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მოქალაქე დაიჭერს ცენტრალურ ადგილს და გაზრდის მთავრობის სტრუქტურული რგოლის ანგარიშვალდებულებას დემოკრატიული მმართველობის პროცესში.